# სანოტარო აქტი

## საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ ივლისს, მე, ნოტარიუსს ელენა გელაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ ,,ახმეტელი"-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, სართული #2, ფართი #6, მომმართა **შპს "მეგობრობა" -ის (ს/კ 400015032) დირექტორმა** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 19/07/2019წ., განცხადების # B19079062) **მამუკა არევაძემ (დაბ.:07.12.1983წ. პირადი #56001003302, გაცხ. მის.: თბილისი ჩარგლის ქ. N 79 ბ. 22).** მან განაცხადა, რომ სურს, შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მამუკა არევაძემ** მომმართა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია **საზოგადოების წესდებით, დამოწმებული იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 16.01.2011წ., შტამპი№304 და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 19/07/2019წ., განცხადების # B19079062,** რომელთა ასლებიც თან ერთვის წინამდებარე მინდობილობას. ვადასტურებ, რომ მიმნდობის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. მიმნდობმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მიმნდობმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

## მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ ივლისს, **შპს "მეგობრობა" -ის (ს/კ 400015032) დირექტორი მამუკა არევაძე - მიმნდობი, გურამი ტაბატაძეს (დაბ.:16.12.1993წ. პ/# 01001093030), მინდობილ პირს, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:**

მინდობილი პირი უფლებამოსილია ,,მეგობრობა'' -ს (ს/კ #400015032) დირექტორის სახელით კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოოს შპს -ს საქმიანობა, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოში არსებულ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. კომუნალურ ორგანოებში დირექტორის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება. ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის კრების ოქმების რეგისტრაციის შესახებ, წარადგინოს საწარმოს კორექტირებული არქიტექტორის მიერ მომზადებული სართულის პროექტები .სჯარო რეესტრში აწარმოოს საცხოვრებელი ბინების განშლა, შეადგინოს შესაბამისი ოქმი, მოახდინოს ნებისმიერი ფორმით ოქმის ცვლილება ბინების კვ.მ -ების და ნუმერაციის ცვლილებაზე გადაწყვეტილება. აღმოფხვრას საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი ხარვეზები და მოახდინოს შესაბამისი რეგისტრაციები.

ამასთანავე მან შპს მეგობრობა 400015032 დირექტორის სახელით აწარმოოს ურთიერთობა შემოსავლები სამსახურში, სს თელასში,სს ყასტრანსგაზ თბილიში,წყალკანალში (GWP) , კავშირგაბმულობის ორგანოებში: სილქნეტი, მაგთი, შსს მომსახურების სააგენტოში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში რა დროსაც ჩემი როგორც დირექტორის სახელით წარადგინოს განცხადებები სათანადო საბუთებთან ერთად, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია შპს მეგობრობა -ს საქმიანობასთან. <u>მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია **2020** წლის ოცდაორი ივლისის ჩათვლით.</u>

მიმნდობს განემარტა, რომ იგი უფლებამოსილია ვადამდე გააუქმოს მინდობილობა და ამასთან, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის მინდობილ პირს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობის სანოტარო ეგზემპლარს თან ერთვის: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 19/07/2019წ., განცხადების # B19079062.** ჩეი სანოტარო ბიუროს არქივში ინახება და დანართის სახით თან ერთვის რწმუნებულება/მინდობილობას (დამოწმებული 22.07.2019წ., ნოტ.ე.გელაძის მიერ., რეგ.#190861569;): საზოგადოების წესდების, დამოწმებული იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 16.01.2011წ., შტამპი№304, ასლი;

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 10 (ათი) ლარი `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე და სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი - ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა

*"მიმნდობი"* _____

*ნოტარიუსი ელენა გელაძე*

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

93703203773419

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N190861610

რეგისტრაციის თარიღი

22.07.2019 წ

ნოტარიუსი: ელენა გელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, მეტროს სადგურ ,,ახმეტელი''-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, სართული 2 ფართი 6
ტელეფონი: +99598101011

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18.